სახელმწიფო შესყიდვებისათვის მოსამზადებელი დოკუმენტაციის, პროექტებისა და ხარჯთაღრიცხვების საკონკურსო კომისიის სხდომიოს ოქმი

ოქმი N1

დ.მესტია 28/04/2014 წ

კომისიის სხდომას ესწრებოდნენ:

- *კომისიის თავმჯდომარე:*
  - *ვახტანგ ნაკანი* – მესტიის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავჯდომარის მ/შ;
- კომისიის წევრები:
  - *კაპიტონ ჟორჟოლიანი*– მესტიის მუნიციპალიტეტის გამგებელი;
  - *მაიზერ ჯაფარიძე* – მესტიის მუნიციპალიტეტის გამგებლის მოადგილე;
  - *თემურ ნავერიანი* – მესტიის მუნიციპალიტეტის საფინანსო სამსახურის უფროსი ;
- *კომისიის აპარატის წევრები:*
  - *მარიამ ნაკანი* - მესტიის მუნიციპალიტეტის გამგეობის შესყიდვების განყოფილების უფროსი;

დღის წესრიგი:

მესტიის მუნიციპალიტეტის მიერ 2014 წლის 23 აპრილს გამოცხადებული N1209 კონკურსი.

## დ. მესტია, ბეთლემის ქ. #7, ლერი ნაკანის სახელობის სპორტკომპლექსიის შენობის რეკონსტუქცია

საპროექტო სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის შედგენა–ზე განაცხადი შემოიტანა ერთმა პრეტენდენტმა.

კონკურსანტის მიერ წარმოდგენილი დოკუმენტაციის განხილვა.

მოისმინეს:

საკონკურსო კომისიის წევრები გაეცნენ კონკურსანტის შპს „პეგა–61"–ის მიერ წარმოდგენილ საკონკურსო წინადადებას.

განხილვის შედეგად აღმოჩნდა,რომ კონკურსანტის შპს „პეგა–61"–ს მიერ წარმოდგენილი საკონკურსო წინადადება,საგადასახადო დავალება და თანდართული დოკუმენტაცია სრულად შეესაბამება საკონკურსო განცხადებაში მოთხოვნილ პირობებს და „სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის 2011 წლის 10 თებერვლის #3 ბრძანების მე–6 მუხლით" განსაზღვრულ მონაცემებს.

შპს „პეგა–61“–ს მიერ წარმოდგენილი იყო კონვერტზე დაკრული ქვითარი კონკურსში მონაწილეობის საფასურის გადახდის დამადასტურებლად. კონვერტში მოთავსებული იყო რეკვიზიტები, ამონაწერი საჯარო რეესტრიდან, გამოცდილება და საკონკურსო წინადადება. საკონკურსო თანხა თავდაპირველად 7000 ლარი იყო ხოლო კონკურსანტმა წინადადებაში დააფიქსირა 7000 (შვიდიათასი) ლარი.

კომისიამ დაადგინა:

კომისიამ დაადგინა,რომ შპს „პეგა–61“–ს გამოვლინდეს გამარჯვებულად N1209 კონკურსში თანხით 7000 ლარი, გაფორმდეს „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“ საქართველოს კანონის მიხედვით ხელშეკრულება ,ხოლო ხელშეკრულების გაფორმებიდან 10 კალენდრულ დღეში კონკურსანტმა, უნდა წარმოადგინოს დასრულებული საპროექტო–სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაცია, რის შემდგომაც გაფორმდება მიღება–ჩაბარების აქტი.

კომისიის თავმჯდომარე: ვ.ნაკანი

კომისიის წევრები: კ.ჟორჟოლიანი

მ.ჯაფარიძე

თ.ნავერიანი

კომისიის აპარატის წევრები: მ.ნაკანი